„საქართველოს საექსარხოსო“

(ისტორიულ-კანონიური ცნობა)

1811 წელს, ღენერალ ტორმასოვის განკარგულებით, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში ძირითადი ცვლილება მოხდა: კანონიერი კათალიკოზი გადაყენებულ იქმნა თავის საყდრიდგან და „საკათალიკოზო“ შეიცვალა „საექსარხოსოდ“. რეფორმის ინიციატორებს აზრადა ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ხსენებაც კი აღარ დაერჩინათ, მაგრამ უნებლიედ მათ ისეთი ინსტიტუტი შემოიღეს, რომელიც სულ სხვა მიზანს აღწევს. მართლაც და, რას ნიშნავს „ექსარხოსი“, „საექსარხოსო“?

ფილოლოგიურად თუ გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ "ექსარხოსი" არის ბერძნული ლექსი (exarchos) და აღნიშნავს უზენაესს გამგეს ისეთი ადგილისას, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიის **გარეშე** იმყოფება და მის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს.

მართლაც, სამოქალაქო სფეროში ასეთი იყო ერთ დროს ეგრედ წოდებული „რავენის“, ხოლო საეკლესიოში „თესალონიკის“ საექსარხოსო.

სამოქალაქო ტერმინი „ექსარხოსი“ ბიზანტიაში გადაიქცა საეკლესიო-კანონიურ ტერმინად; იმით აღინიშნებოდა, როგორც ესა სჩანს მეოთხე მსოფლიო კრების მეცხრე და მეჩვიდმეტე კანონებისაგან, სრულიად დამოუკიდებელი, ავტოკეფალური საეკლესიო ოლქის უფროსი, რომელსაც, ძველი ქართული მწერლობით, **კათალიკოზი** ეწოდებოდა[1]), ხოლო ბიზანტიაში, საეკლესიო ტერმინოლოგიის შემუშავების შემდეგ,—**პატრიარქი**[2]).

შემდგომ საუკუნოებში „ექსარხოსებად“ აღმოსავლეთში იწოდებოდენ ის მღვდელ მთავრები, რომლებიც დროებით ვანაგებდენ „დაქვრივებულ“ ავტოკეფალურ კათედრას. კერძოდ რუსეთის ეკლესიაში „ექსარხოსი“ ესმოდათ, როგორც „დროებით მცველი“ დაქვრივებულ საპატრიარქო კათედრისა. მაგალითად, ცნობილი სტეფანე იავორსკი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში, პატრაქადრიანეს შემდეგ სინოდის დაარსებამდე, „საპატრიარქო საყდრის დროებით მცველი“ იყო (**мѣсто—блюститель патріаршаго престола**), **ექსარხოსად** იწოდებოდა.

ამნაირად, ფილოლოგიურ, კანონიურ და ისტორიულ თვალსაზრისით „ექსარხოსი“ აღნიშნავს უზენაესს გამგეს ავტოკეფალურ ოლქისას, რომელიც მეორე ოლქის გარეშე იმყოფება და მის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს. მაშასადამე, ტერმინი „საქართველოს საექსარხოსო“ თვით რუსების მიერ შემოღებული არგუმენტია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა: ის გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა, ის დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა, მხოლოდ მას, როგორც „დაქვრივებულს“, დროებით რუსეთის „ექსარხოსი“ განაგებს.

რასაკვირველია, ღენერალ ტორმასოვს, როდესაც ასეთ სახელს იგონებდა, სულ სხვა ჰქონდა აზრად, მაგრამ ჩვენ კი, ვინაიდგან მას საეკლესიო ისტორიისა და კანონების არა გაეგებოდა რა, მეტი საბუთი მოგვცა ჩვენი პრეტენზიების გასამართლებლად. ტორმასოვის უნებლიეთი შეცდომა შეიგნეს ვოსტორგოვმა და სინოდის დღევანდელმა წევრებმა და მოინდომეს იმის გამოკეთება: როგორც ვიცით, იმათ განუზრახავთ „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმება და მის მაგიერ „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის“ შემოღება; ამ ოლქის მეოხებით მოხდება ჩვენი ეკლესიის ინკორპორაცია და მისი დღევანდელი სახის წარყენა. აქედგან ცხადია, რამდენად საჭიროა დროებით, სანამ ჩვენი ეკლესიის კანონიურ უფლებათა აღდგენის საკითხი არ გადაწყვეტილა, არსებულ ინსტიტუტის—„საექსარხოსოს“ დაცვა და შენარჩუნება.

დეკ. კორ. კეკელიძე.

---

[1]) იხ. ჩემი გამოკვლევა—„Іерусалимскій Канонарь“, стр. 246—248.

[2]) „Правила православной церкви съ толкованіями Никодима, епископа Далматинскаго и Истрійскаго“, т. I, стр. 352. აგრეთვე—професора В. Болотова—Лекціи по исторіи древней церкви, т. III, стр. 216—222.